

საიდ. №75965/03

IR 1083089

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №84-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბორა ქრიეიშენს ს.ლ.“ (Bora Creations S.L.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №84-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №1063/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „e essence“ (საიდ. №75965/03, IR 1083089) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-14 კლასის საქონლის განცხადებული

ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში ასევე, მე-14 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „საიუველირო ნაწარმი, მაჯის საათების და საათების ქრონომეტრების, მაჯის საათის სამაჯურების გარდა“.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის №1063/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „e essence“ მსგავსია კომპანიის „NiDA SAAT SANAYİ VE DIŞ TİCARET LİMİTED ŞİRKETİ“ (მისამართი: Tahtakale Mah. Tahtakale Cad. No. 55 Menekse Han No. 34-40, Eminonü-Istanbul) სახელზე მე-14 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისთვის მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოში დაცული და გავრცელებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა „ESSENCE“ (IR 1060940; გავრცელებისა და რეგისტრაციის თარიღი: 03/08/2010). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, სემანტიკურად და ფონეტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტილიზებული შრიფტით და დამატებით შეიცავს გამოსახულებით ელემენტს, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშანი სტანდარტული ლათინური შრიფტით შესრულებული სიტყვიერი ჩანაწერია და ისიც შეიცავს სუსტ გამოსახულებით ელემენტს, საერთო შთაბეჭდილება, რომელიც შესაძლოა მოახდინონ ამ ნიშნებმა მომხმარებელზე, იქნება მსგავსი. ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური შრიფტით, შეიცავს შვიდ იდენტურ ასოს და გამოსახულია, როგორც „ESSENCE“, „essence“. სასაქონლო ნიშნები იდენტურია ფონეტიკური თვალსაზრისითაც და ქართველი მომხმარებლის მიერ, გამოითქმის როგორც „ესენს“. ამასთან, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობა აქვთ. ორივე სასაქონლო ნიშანი აღნიშნავს „ძირს“, „შინაარსს“, „არსს“, „ფესვს“, „ძირითად შემადგენელ ნაწილს“. რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო

ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც საქონლის გასაღების ადგილს, ასევე საქონელს. საათის მწარმოებელი კომპანიები, როგორც წესი, აწარმოებენ ასევე საიუველირო ნაწარმს და მათი გასაღების ადგილიც, უმეტეს შემთხვევაში, ერთია. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში, კერძოდ მე-14 კლასის საქონლის ნაწილში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ბორა ქრეიშენს ს.ლ.“ (Bora Creations S.L.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის დაცვა მოითხოვებოდა მე-14 კლასის შემდეგი საქონლისათვის – „საიუველირო ნაწარმი“ (Jewelry), ხოლო დაპირისპირებული ნიშანი დაცულია მე-14 კლასის შემდეგი საქონლისთვის: „მაჯის საათები და საათები (ქრონომეტრების, მაჯის საათის სამაჯურების ჩათვლით)(Watches and horological instruments (including chronometers, belts for watches). აპელანტის პოზიციით, ვინაიდან, დაპირისპირებული ნიშანი განკუთვნილია მეტრონომებისათვის (კლასი 9) და საათებისთვის (კლასი 14), ხოლო განცხადებული ნიშანი კი საიუველირო ნაწარმისათვის, ნიშნებს შორის დაპირისპირების აღმოფხვრის მიზნით, აპელანტი თანახმაა შეზღუდოს მე-14 კლასის საქონელი შემდეგნაირად: „საიუველირო ნაწარმი, მაჯის საათების და საათების, ქრონომეტრების, მაჯის საათის სამაჯურების გარდა“. აპელანტის პოზიციით, საქონლის ამგვარი შეზღუდვის პირობებში არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ყოველივე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №1063/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „e essence“ (საიდ. №75965/03, IR 1083089) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-14 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში ასევე, მე-14 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „საიუველირო ნაწარმი, მაჯის საათების და საათების, ქრონომეტრების, მაჯის საათის სამაჯურების გარდა“.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „e essence“ (საიდ. №75965/03, IR 1083089) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ESSENCE“ (IR 1060940) აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. განცხადებული ნიშანი და დაპირისპირებული ნიშანი მსგავსია ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი, ისევე როგორც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს შავ-თეთრ ფერებში შესრულებულ კომბინირებულ სასაქონლო ნიშნებს, რომლებშიც სიტყვიერი

ნაწილი შესრულებულია ლათინური ასოებით „essence” – „ESSENCE”. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი თითქმის იდენტურია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილისა, რაც ზრდის ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. რაც შეეხება ნიშნებში შემავალ დამატებით ელემენტებს, რომლებიც ერთნაირადაა განთავსებული და წარმოადგენენ ასოების გამოსახულებას, ისინი ვერ სძენენ ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას.

ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ იდენტურად გამოითქმის, როგორც „ესენს“. ამასთან, დაპირისპირებულ ნიშნებს გააჩნიათ, მსგავსი მნიშვნელობა, რადგან სიტყვა „essence“, ინგლისური ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც - „არსი“, „დედაარსი“ (ABBYY Lingvo 12).

კოლეგიამ არ გაიზიარა ასევე, აპელანტის მოთხოვნა მე-14 კლასის საქონლის შემდეგი სახით შეზღუდვასთან დაკავშირებით: „საიუველირო ნაწარმი, მაჯის საათების და საათების, ქრონომეტრების, მაჯის საათის სამაჯურების გარდა“, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია მე-14 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მაჯის საათები და საათები (ქრონომეტრების, მაჯის საათის სამაჯურების ჩათვლით)(Watches and horological instruments (including chronometers, belts for watches). შესაბამისად, კოლეგიის აზრით, საიუველირო ნაწარმი და მაჯის საათები მათი არსისა და დანიშნულების გათვალისწინებით, წარმოადგენს ერთგვაროვან საქონელს. აღნიშნულ პროდუქციას ხშირ შემთხვევაში აქვს ერთი და იგივე სარეალიზაციო ადგილი, შესაბამისად მოხდება ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „e essence” (საიდ. №75965/03, IR 1083089) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბორა ქრიეიშენს ს.ლ.“ (Bora Creations S.L.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №1063/03 ბრძანება.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ქ. კილაძე

ს. ებრალოძე